ცნობის ფურცელი

№ 2142 ორშაბათი, 5 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2142

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და ფ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 378.

კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 მაისს გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეუღლე თავადი

კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი.

პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 1-ლ საათზე და საღამოს 8 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (0—3).

დაიკარგა ცხენი

ტფილისში, 3 მაისს, ღამე, ცხენი წაბლის ფერისა, ულაყი, მარჯვენა ფეხის ჩლიქი შიგნიდან გახეთქილი აქვს. მპოვნელს ვთხოვთ აცნობონ პოლიციის ქალაქის მეექვსე ნაწილში. მპოვნელს საჩუქარი მიეცემა.

სიმონ ჯაგახოვი

ტფილისის კერძო სამკურნალო

ვ. ხ. მუსხელიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე;

ე ქ ი მ ე ბ ი:

ვ. მ. ტიტინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღიანი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ბ. პ. ბაბალაშინიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: ყოველდღით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სოზოლოვსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)

ტელეფონი № 274 (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე ზაალეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ კახეთის თავად-აზნაურთ ლაპარაკი აქვთ **კახეთში გიმნაზიის დაარსების** შესახებ. ამისათვის ჰფიქრობენ გადასდონ უმაღლესად ნაბოძებ ფულიდან 10 ათასი მანეთი. ეხლა თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, როგორც „ტიფ. ლისტ."-ს ატყობინებენ, შეჰკითხებია ქალაქ სიღნაღის თავად-აზნაურობას, რით შეუძლიან ამ ქალაქს დახმარება აღმოუჩინოს განზრახულ გიმნაზიას.

◆ ახლად გადაცვალებულს თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილს „**ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისთვის**" დაუტოვებია 400 მანეთი. ეს ფული უკვე გადაეცა ხსენებულ საზოგადოებას.

◆ „ვედომ. ოდეს. გრადონაჩ."-ში დაბეჭდილია შემდეგი: „პოლიცმეისტერის მიერ წარმოდგენილ ცნობებით **ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტებს** გრიგორ ლორთქიფანიძეს, აკაკი ქორქაშვილს, ალექსანდრე ქორქაშვილს, ვასილ წერეთელს, ალექსი არაფილოვს, ალექსანდრე ჩიკვაიძეს და ივანე ეკსარევს დაურღვევიათ 1902 წელს გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც აკრძალულია წესიერებისა და მშვიდობიანობის დამრღვევ კრებებისა და ყრილობების მოხდენა ქუჩებსა, მოედნებსა, ბაღებსა და სხვა ადგილებში. ამის გამო ოდესის გრადონაჩალნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა, გაძლიერებულ დაცვის დებულების თანახმად, დაადგინა: დასახელებულნი დაჯარიმებულ იქმნენ თითო 150 მანეთით; თუ ჯარიმას ვერ გადაიხდიან, 30 დღით დაპატიმრებულ იქმნებიან."

◆ მატნის სკოლის მასწავლებელი დ. ქეძამიძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმესს მადლობას ვუცხადებ თავად ნიკოლოზ ზაალის ძეს ჩოლოყაშვილს, რომელმაც შემოსწირა მატნის სკოლის წიგნთ-საცავს 90 ცალი წიგნი, შვიდ თუმნად ღირებული.

◆ გომიდან გვატყობინებენ: 3 მაისს, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე, როდესაც აქედან მატარებელი გავიდა, ზედ შეჰხტა რამდენიმე უბილეთო კაცი. უბილეთოები ნასვამები იყვნენ. ამ უბილეთოებს კონდუქტორებთან ლაპარაკი მოუვიდათ, რომლის დროსაც ხანჯლით დასჩრეს კონდუქტორი მიხეილ კანტიევი. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ სადგური ტატლი: 3 მაისს, ნაშუადღევის 3 საათსა და 28 წუთზე, ტატლის სადგურის უფროსმა ტელეგრაფისტმა ანგელინტე კახიანმა მოისურვა მიმავალ მატარებელზე ასვლა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და ვაგონ ქვეშ ჩავარდა, რომელმაც მარცხენა ფეხი მოსტეხა. იქვე ფეხი შეუხვია მატარებელში მყოფმა ერთმა ექიმმა, შემდეგ დაშავებული ალექსანდროპოლის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ ბათუმი: 3 მაისს, ნაშუალამევის პირველ საათზე, ათამდე შეიარაღებული ბოროტ-მომქმედი თავს დაესხა რკინის გზის საწყობს. დარაჯს ალექსი გორელს დაემუქრნენ, მოგკლავთო; შემდეგ გატეხეს კარები და წაიღეს სხვა და სხვა ნივთები, 65 მანეთისა.

◆ ბაქო: 3 მაისს, საღამოს 6 საათზე, მატარებელი, რომელიც ნავთის ქვაბებისაგან შესდგებოდა, ლიანდაგს გადასცდა. ძალიან დაზავდა ხუთი ქვაბი. უბედურება კაცის თავს არა მომხდარა-რა.

წერილი მეჯვრისხევიდან

ხეების დარგვა მოსწავლეების მიერ

29 აპრილი მეჯვრისხევის სკოლის ყოფა-ცხოვრებაში დიდს შესანიშნავ დღეთ იქნება აღიარებული. ამ კეთილმა და სასარგებლო გართობამ,—ხეების დარგვამ—რომელიც ასე ხშირია ევროპა სხვა ქვეყნის სკოლებში, ჩვენშიაც გამოიწვია წაბაძვის სურვილი და, აი, 29 აპრილს კიდეც იქნა აზრი ასეთის გონივრულის ჩვეულებისა—ხეების დარგვისა. მიზეზი ამ აზრის განხორციელებისა შემდეგი გარემოება იყო. დირექციის განკარგულებით, ჩვენს სკოლას გამოუგზავნა ტფილისიდან 200 ცალი თუთის ხის ნერგი სკოლის ადგილში დასარგავად (რადგან განზრახულია სკოლასთან დაარსდეს საქსოვი განყოფილება). სკოლის ადგილი, ზომით 9 დესეტინა, მდებარეობს სოფელ ზერტში, რომელიც მეჯვრისხევიდან სამ ვერსზეა. სკოლის გამგეობამ გადასწყვიტა, ნერგები თვით მოსწავლეებს დაერგოთ თავიანთ ხელით და ამიტომ დაინიშნა დრო ზერტში გასეირნებისა და ხეების დარგვისა. როდესაც ეს აზრი სკოლის ზედამხედველმა თ. კანდელაკმა გამოუცხადა მოსწავლეებს, იმათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ეს მოვლენა, რასაკვირველია, გასაკვირველი არ არის, რადგან, ამნაირი რამ არასოდეს არ მომხდარა ჩვენს სკოლაში.

დიახ, დიდი სიხარული გამოიწვია ამ აზრმა ბავშვებს შორის და იმავე დღიდან შეუდგნენ მზადებას პატარა ექსკურსიისათვის. ყველამ დაიმზადა ფიცრის პატარ-პატარა ფირფიტები, რომ ზედ თავიანთი სახელი და გვარი დაეწერათ და ნერგებისათვის შეებათ დარგვის შემდეგ. სკოლის ზედამხედველმა, ნაცვლად ამ ფიცრისის ფირფიტებისა, დაუმზადა თუნუქის პატარა ფირფიტები მავთულ გაყრილები, რომლებზედაც ქიმიური მელნით დაინიშნა სახელი და გვარი მოსწავლეთა. გათენდა მოსწავლეთათვის სანატრელი 29 აპრილი. ჩინებული დარი იყო. ექვსი საათი არ იქნებოდა დილის, რომ ყველანი შეიკრიბნენ და არც ერთი მოწაფე არ აკლდა. ყველას ხელსახოცებში გამოკრული ჰქონდა თავისი საგზალი: ვის ცარიელი მჭადი, ვის ყველი და პური, ვის ლავაში და წითელი კვერცხები-და-კი. ვისაც რა ებადა, მორთულ-მოკაზმულიყო, თუმცა დაკონკილიც ბევრი იყო. სწორედ ცხრა საათზე გავემგზავრენით. წინ მიუძღოდნენ პატარა მოსწავლე ქალები და მათ გვერდზე მასწავლებელი ქალი. შემდეგ მიდიოდნენ მოსწავლე ვაჟები, რომელსაც გვერდზე მისდევდნენ ზედამხედველი სკოლისა და სამღვთო სჯულის მასწავლებელი. ამ წყობას უკან მისდევდნენ მოზრდილი მოსწავლეები, რომელთაც მხარზე გაეწყოთ პატარა კონა მოკლე სარებისა ნერგების შესადგმელად. მთლად ამ წყობას წინ მიუძღოდა ერთი მოსწავლე, რომელსაც ეჭირა ორი პატარა კონა თუთის ნერგებისა, მასალა და საგანი მოსწავლეთა შვება-დღესასწაულისა.

დანიშნულ ადგილას თითქმის მზად იყო ორმოები ნერგების ჩასარგავად. დაურიგდათ მოსწავლეებს თითო ცალი ნერგი და სარი და მიეცათ ნება, სურვილისამებრ ამოერჩიათ ადგილი ჩასარგავად. პირველი ხე ჩარგო სამღვთო სჯულის მასწავლებელმა, რომელმაც, ვიდრე დარგავდა, შემოიკრიბა გარშემო მოსწავლენი და აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელს სეირნობა-დღესასწაულს, რა იმედი უნდა ვქონდეს ყველას ამ პატარა ნერგებისაგან და ბოლოს განუმარტა, როგორ უნდა გარდაიქცეს თუთის ფოთოლი აბრეშუმის ძვირფას ნაწარმად. შემდეგ ამისა დალოცა მოსწავლენი და უსურვა ნაყოფის გამოღება მათ მიერ დარგულის ნერგებისა. „ამინო" შესძახეს ერთად ბავშვებმა და მოჰყვნენ თავ-თავიანთ ორმოებს. სწრაფად ჩარგეს მოსწავლეებმა ორ-ორი ნერგი, შეაბეს ნიშნები თავიანთ გვარით წარწერილი და ბოლოს თავიანთ ხელითვე დაუსხეს თვითო ჩაფი წყალი. შეითამაშეს სიხარულით და გავიდნენ ველზედ შესასვენებლად და შემდეგ სადილის საჭმელად. სასიამოვნო სანახავი იყო ეს სურათები. სადილის შემდეგ ბ-ნმა დ. ი. შამირანოვმა (აქც. კონტროლიორმა), რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ დღესასწაულში, დაასაჩუქრა ყველა მოსწავლე კანფეტებით. სულით და გულით კმაყოფილნი დაბრუნდნენ მოსწავლენი მეჯვრისხევში იმ იმედით, რომ ერთ დროს მათ სასწავლებელში მათი დარგული თუთები საზრდოს მისცემენ ჭიას, რომელიც აბრეშუმის გასაკეთებლად იშრომებს. ღმერთმა იმედი აუსრულოთ! ჩვენც გვსურთ, რომ 29 აპრილს შემოღებული ჩვეულება ამ სკოლას კანონად გარდაექცეს და მრავალჯერ დაატკბობს მოსწავლეთ და მასწავლებლებს, ხოლო მოსწავლეთა მშობლებს აგრძნობინებს სიამოვნება-კმაყოფილებას.

მამა სეითი.

დაბა-სოფლები

ბორჯომი. ბორჯომის მაზრაში, ბაკურიანის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, არის გოგირდის შესანიშნავი აბანო, რომელსაც უწოდებენ „ცხისჯვარის" აბანოს, რადგან ამ აბანოს ახლოს არის სოფელი ცხისჯვარი. დიდი ხანია ექიმებისაგან შემოწმებულია ეს აბანო, როგორც მოსახდენი ქარებიანობისა, თავის ტკივილისა და ნერვების სისუსტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დღემდის რკინის გზა არ გახსნილიყო და სიშორისა და უგზოობისა გამო ძნელი იყო იქ მისვლა, ავადმყოფი მაინც ბევრი დაიარებოდა აქ. უფრო ხშირად მოჰყავდათ ქარებით ავადმყოფნი. ეხლა ცხისჯვარის აბანოზედ მისვლა ძლიერ გაადვილდა, რაკი ბაკურიანის რკინის გზა გაკეთდა. ბაკურიანის სადგურიდან აბანომდე 6 ვერსია. ამ სადგურზე მუდამ ეტლია, რომელსაც მიჰყავს ავადმყოფები და ხალხი. თითო კაცზედ ეტლით მისვლა თავის ბარგით ღირს 1 მანეთი. არც თვითონ აბანო იყო დღემდის მოწყობილი და გაკეთებული. ბორჯომის ახალმა მმართველმა გეტცმა დიდი ყურადღება მიაქცია ცხისჯვარის აბანოს. გასცა იგი იჯარით; მოაწყობინა მოიჯარადრეს აუზები, შეაკეთებს ძველი სადგომები და მით გაუადვილებს მომსვლელთ ბანება და ბინადრობა. [illegible] და არც ძვირია, რადგან სოფლები ახლოა.

—

სოფ. სამება (გურია). ჩვენი სოფელი მიეკუთვნის ამაღლების საზოგადოებას, რომელსაც აქვს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი (ერთი წლიდან იქმნება, რაც ორ-კლასიანად გადააკეთეს). სოფ. სამების გლეხებმა, ადგილობრივ მღვდლის თაოსნობით, რომელმაც აღუთქვა მასწავლებლის უჯამაგიროდ მოწევა, განიზრახეს სამრევლო საეკლესიო სკოლის დაარსება. ამიტომ იყიდეს სახლი და მოაწყეს სკოლა, რომელიც დაჯდა 1000 მან. ყველა მოუთმენლად მოელოდა სწავლის დაწყებას, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მღვდელმა მასწავლებლად მოიწვია ერთი ადგილობრივი მკვიდრი; უმრავლესობამ არ ისურვა და სთხოულობდა სხვა მასწავლებლის მოწვევას. ბოლოს ისევ მღვდლის კანდიდატი დარჩა. ამ დღიდან სოფლელებმა სკოლას რაღაც ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. ზოგმა სულ არ გაჰგზავნა ყმაწვილი; გაგზავნილნიც უგულოდ დადიოდნენ. ან და რა სწავლის ნდომა ექნებოდა ყმაწვილს, რომელსაც მშობლებისაგან ესმოდა, ტყუილად გაცდენ, შვილო, იმან რა უნდა გასწავლოს! ამნაირად გადის მეხუთე წელი და სკოლას თითქმის ნაყოფი არ გამოუღია; ხუთმეტი ყმაწვილი არ იქმნება სკოლაში, როდესაც ასი უნდა იყოს. არა ერთხელ უთქვამთ სოფლის ყრილობას ამ სკოლის შესახებ. რამდენჯერმე სთხოვეს სოფელს, ხელ-წერილი მიეცა, რომ სკოლის საჭიროებისა და მასწავლებლისათვის ეძლია 50 მანეთი წლიწადში, ხოლო მთავრობა თავის მხრივ დაუნიშნავდა 200 მ. ამაზედ სოფელი მუდამ უარს ამბობდა. ამ რიგად რაღაც შინაურ განხეთქილების გამო სკოლის საქმე დღემდე ვერ მოეწყო და ვერა.

აქსიომა.

კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება

კრება მოხდა 2 მაისს. პირველად კრებამ აარჩია იმ კომისიის წევრნი, რომელიც სამკურნალო წიგნაკებს ჰბეჭდავს ხალხისათვის. დღემდე კომისიას 30 ცალი ამგვარი წიგნაკი გაუვრცელებია ხალხში. ეს წიგნაკები ქართულს და სომხურს ენაზე იყო გამოცემული. კომისიას ჰსდომებია თათრულ წიგნაკების გამოცემაც, მაგრამ თათრული ენის მცოდნე ექიმი ვერ უნახავს. კომისიის წევრებად კრებამ აარჩია ცხრა კაცი, სამი რუსულის წიგნაკების გამოსაცემად, სამი—ქართულისა და სამიც სომხურისა.

შემდეგ თავმჯდომარემ ანანოვმა ლაპარაკი ჩამოაგდო ხალხისათვის პოპულიარ ლექციების (ბუნდოვანი სურათებით) მოწყობის შესახებ. ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ შეიძლება ადგილობრივ ენებზე ლექციების წაკითხვის ნება არ დაგვრთონო. ბოლოს კრებამ მოიწონა ანანოვის წინადადება და კომისია აარჩია, რომელმაც უნდა აძრას შუამდგომლობა ადგილობრივ ენებზე ლექციების წაკითხვის შესახებ.

დასასრულ კრებამ მოისმინა მოხსენება იმ კომისიისა, რომელსაც ამიერ-კავკასიაში ტუბერკულოზთან საბრძოლველ საშუალებათა შემუშავება აქვს მინდობილი. როგორც ვუწყით, ჭლექი ჩვენშიაც ძალიან არის გავრცელებული. ჭლექთან ბრძოლას ევროპაში კარგა ხანია გულმოდგინედ შეუდგნენ. რუსეთში პიროგოვის სახელობის საზოგადოებამ შეიმუშავა ნორმალური ტიპი იმ გვარ საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად ჭლექთან ბრძოლა აქვს. ზემოხსენებულ კომისიასაც შეუმუშავებია პროექტი განსაკუთრებულ საზოგადოებისა. ამ პროექტით, უნდა დაარსდეს საზოგადოება ჭლექთან საბრძოლველად. მთავარი გამგეობა ტფილისში იქმნება. საზოგადოებამ მთელ ამიერ-კავკასიაში უნდა იმოქმედოს, რისთვისაც ყველა ქალაქში დაარსდება განყოფილებები. საზოგადოება გამართავს სანატორიებს, სამკურნალოებს, ლაბორატორიებს და სხვას; წაიკითხავს ლექციებს. კომისიის აზრით, საზოგადოებაში მონაწილეობა რაც შეიძლება მეტმა ხალხმა უნდა მიიღოს. წლიური გადასახადი ნამდვილ წევრთათვის სამი მანეთი იქმნება, ხოლო დამხმარებელ წევრთათვის—ერთი მანეთი. საზოგადოების გამგეობაში იქმნება ცხრა კაცი; ამათ გარდა გამგეობის წევრებად იქმნებიან ორი ექიმი ქალაქ ტფილისის წარმომადგენლად, ორი—თავად-აზნაურთა წარმომადგენლად და ორიც სამკურნალო საზოგადოებისა.

კრებამ მოიწონა ეს პროექტი. ლაპარაკი გამოიწვია მხოლოდ ერთმა საგანმა—საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ ქონება ვის უნდა დარჩეს. კომისიას ახირებულად გადაუწყვეტია ეს საქმე. იმის აზრით, ქონება უნდა დარჩეს ქალაქ ტფილისს. კრების წევრთა უმრავლესობა, რასაკვირველია, არ დაეთანხმა ამ აზრს. კრებამ დაადგინა ლიკვიდაციის შემდეგ ქონება სამკურნალო საზოგადოებას გადაეცეს.

რადგან შუამდგომლობა განზრახულ საზოგადოების დაარსების შესახებ კერძო კაცებმა უნდა აძრან და არა სამკურნალო საზოგადოებამ, პროექტს იქვე ორმოცამდე კაცმა მოაწერა ხელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი.

სარატოვი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა აიღოს საობლიგაციო სესხი ექვსი მილიონი მანეთი კანალიზაციისა, საელექტრონო განათებისა და მოკირწყლისათვის.

ბირმინგამი. ამომრჩეველთა კრებაზე ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა. მინისტრმა განაცხადა, რომ სახელმწიფო პოლიტიკისაგან არის დამოკიდებული შესძლებს დიდ ბრიტანიის იმპერია, თავისუფალ ერად გაერთიანებული, გაუმაგრდეს ქვეყანას თუ დაიყოფება იგი ცალკე შტატებად, რომელნიც მხოლოდ თავიანთ ინტერესებს გაუწევენ სამსახურს. ახალშენების ძალა რომ მეტროპოლიის ხელთ იყოს იმ დროს, როდესაც დიდ ბრიტანიას განსაცდელი მოელის, ეს საქმე ყოვლის მხვერპლის ღირსი იქმნებოდაო.

შტუტგარდი. ახლად დანიშნული რუსეთის ელჩი ბარონი ბუდბერგი გუშინ მეფემ მიიღო.

„კელ. ცაიტ." იუწყება, რომ მომავალ სამხედრო მინისტრად მხედველობაში ჰყავთ გენერალი ეინემი, სამხედრო დეპარტამენტის დირექტორიო.

სოფია. სამინისტრო კრიზისი გამოიწვია კერძო ხასიათის მოსაზრებამ, რომელიც შეეხება საერო განათლების მინისტრს რადევს. მთავარს აზრადა აქვს შეადგინოს საკოალიციო კაბინეტი. პოლიტიკა, განსაკუთრებით მაკედონიის საკითხის შესახებ, წინანდელი იქმნება. სავოვი სამხედრო მინისტრად დარჩება, ჰფიქრობენ, რომ დეპუტატი ბობჩევიც მოჰხვდება კაბინეტის წევრთა შორის.

სოფია. პროფესორებმა და მასწავლებლებმა მოწოდებით მიჰმართეს განათლებულ ქვეყანას; სთხოვენ კონტროლი გაუწიონ იმ საგანგებო სასამართლოს, რომელიც ასამართლებს აჯანყებაში ტყუილად ბრალდებულ მასწავლებელთ. მოწოდების ავტორნი ამბობენ, მოწყალებას კი არა, სამართლიანობას ვთხოულობთო.—კიუსტენდილიდან იუწყებიან, რომ აქ მოვიდა რამდენიმე კაცი, კრატკოვის ოლქიდან გამოქცეულიო.—ბოლგარელ პუბლიცისტთა საგანგებო კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მთავრობამ უარ-ჰყოს ის ცილის წამება, რომელიც დასდეს ბოლგარიის სამღვდელოებას, მასწავლებელთ და მაკედონიის სხვა მოღვაწეთ. ამის შემდეგ კრებამ მადლობით მოიხსენია რუსეთისა, საფრანგეთისა და ევროპის დანარჩენ სახელმწიფოთა პრესსა, რომელიც მაკედონიის საქმეებს ობიექტიურად ექცევა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სახლვაო ბიუჯეტის განხილვის დროს რობერტსონმა სთქვა: საადმირალოს უნდა ახალ გემების აგებაზე იმდენივე დახარჯოს, რამდენსაც რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია ერთად ჰხარჯავენო. ორატორმა მოითხოვა, მთავრობა ეცადოს როგორმე სხვებთან ერთად სახლვაო ხარჯის შემცირებას. ლილკმა განაცხადა, რომ შეიარაღების შემცირებისთვის სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმება ტრაქტატების შემწეობით უფრო ომს გამოიწვევს, ვიდრე ხელს შეუშლის; ყოველს შემთხვევაში საფრანგეთსა და ინგლისს შეუძლიანთ განიხილონ ეს საქმე და გამოარკვიონ, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან შეთანხმება. თუნდაც რომ გერმანია არ დასთანხმდეს, ამ სახელმწიფოებს მაინც შეუძლიანთ ხარჯის შემცირებაო. ფორსტერი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საადმირალოს მოთხოვნილება საჭიროებით არის გამოწვეული; საფრანგეთი და რუსეთი ჰფიქრობდნენ სამის გემით მეტის აგებას, ვიდრე ინგლისიო.

4 მაისი

კონსტანტინოპოლი. პორტა ძლიან ცდილობს დაითანხმოს სახელმწიფონი, რომელთა გემები სალონიკში დგანან, უკანვე წაიყვანონ გემები.

მაკედონიისა და ადრიანოპოლის სამ ვილაიეტში კიდევ ატუსაღებენ საეჭვო ბოლგარელებს. საპატიმროები აივსო და ახლებს აშენებენ.

ცეტინიე. მემკვიდრე და მისი მეუღლე საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდნენ.

კონსტანტინოპოლი. იპეკს ორის მხრით მიადგა ჯარი: ნასირ-ფაშა მიტროვიციდან, ხოლო შემსი-ფაშა—დიაკოვის მიდამოებიდან. 2 მაისს ჯარები იპეკს შევლენ. ალბანელთა მეთაურების უმრავლესობამ უარი სთქვა რეფორმების წინააღმდეგობაზე. ოპპოზიციონური ელემენტები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ, რუგოვის ტყეებში. აჯანყებულ ალბანელებმა 1 მაისს სროლა აუტეხეს შემსი-ფაშას ჯარებს; ჯარმა იერიში მიიტანა აჯანყებულებზე; მცირე ბრძოლის შემდეგ ალბანელები დაჰნებდნენ.

სოფია. მინისტრთა საბჭომ დაადგინა შეუდგეს დიდის ტაძრის შენებას ალექსანდრე ნეველის სახელობაზე; შეგროვილია მილიონ ნახევარი ფრანკი; შენობას დასჭირდება 2 ნახევარი მილიონი ფრანკი; შენობის აგების საქმე მიენდო რუს პროფესორს პომერანცევს.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია საერობო დებულება ვილნოს, ვიტებსკის, ვოლინის, გროდნოს, კიევის, კოვნოს, მინსკის, მოგილევის და პოდოლის გუბერნიებისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	93,95
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,67$^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	5—6$^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	98$^{3}/_{8}$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100 $^{3}/_{4}$ მყიდვ.
4$^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95$^{3}/_{8}$ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	435$^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	334$^{1}/_{2}$ „
5/o გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	297$^{1}/_{2}$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5/o გირავნ. ფურც.	91 მყიდვ.
4$^{1}/_{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	199 გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს; 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 0' წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ზორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასოა, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გუდუშაური.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოდოლოვსკისა.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქუჩაზე. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—42)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოშია ბაბანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაუნება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ტეხილითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეგევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

გამოვიდა და იყიდება

ტფილისში: ქართველთა ამხანაგობის და წერ. კითხ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიებში და ქუთაისში: ბ. მიტრ. ლადიძესთან.

ქართული ანდაზები

ფრანგულად თარგმნილი

თ. სახოკიას-მიიერ

ფასი ხუთი შაური (4—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლ., ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—12)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და კაბები ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—5

Дозв. ценз. Тифлисъ, 4 мая, 1908 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)